ილიაუნის სამეცნიერო კაფეში: ილიაუნის ასისტენტ-მკვლევრის, ზურაბ ჯავახიშვილის, საჯარო ლექცია: "გარეული ფრინველების როლი ფრინველის გრიპის ვირუსის გავრცელებასა და ეკოლოგიაში"

17 დეკემბერს, ხუთშაბათს, 19:00 საათზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის E207 აუდიტორიაში, ილიაუნის სამეცნიერო კაფე გიწვევთ შეხვედრაზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-მკვლევართან, ზურაბ ჯავახიშვილთან.

საუბრის თემა: "**გარეული ფრინველების როლი ფრინველის გრიპის ვირუსის გავრცელებასა და ეკოლოგიაში**"

მომხსენებელი მიმოიხილავს გარეული ფრინველების როლს ფრინველის გრიპის გლობალურად გავრცელებაში. მოხსენებაში ასევე წარმოდგენილი იქნება საქართველოში გარეულ ფრინველებში გრიპის ვირუსის გავრცელებისა და ეკოლოგიის დეტალები.

დრო: 17 დეკემბერი, 19:00 საათი
ადგილმდებარეობა: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის E207 აუდიტორია (ჩოლოყაშვილის გამზ. #3/5)

დასწრება თავისუფალია.

ანა კვანჭილაშვილი
საზოგადოებასთან ურთიერთობის
სამსახურის უფროსი
577 42 20 09
ana.kvanchilashvili@iliauni.edu.ge